

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 28

ქ ბათუმი

2 აგვისტო 2004 წ

სხდომას

თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფალავა

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: გუგული დუაძე, ქეთევან ჯიქია, გულნარა ბზიკაძე, სერგო დუმბაძე, ლევან ჩავლეიშვილი.

სხდომას არ ესწრებოდნენ: გიზო მჭედლიძე, სიმონ ჩხაიძე, მამუკა ნულუკიძე

მოისმინეს: უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფალავამ კომისიას განსახილველად წარმოუდგინა დღის წესრიგის პროექტი

უმაღლესი საარჩევნო

კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფალავამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე -6  
წინააღმდეგი 0  
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი ბ ი

1. დადგენილება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტში ცვლილებების შეტანის შესახებ

2. სხვადასხვა

მოისმინეს:

უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფალავამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ. კომისიის

თავმჯდომარემ ირაკლი ფალავამ განმარტა, რომ 2004 წლის 20 ივნისის არჩევნების ჩასატარებლად უმაღლეს საარჩევნო კომისიას რეგლამენტში ცვლილების შეტანით დაემატა კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახური. არჩევნების ჩატარების შემდეგ ამ სამსახურმა თავისი ფუნქცია ამოწურა, ამიტომაც დღის წესრიგში დგება აღნიშნული სამსახურის გაუქმების საკითხი. მითუმეტეს, რომ კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურის ოთხი თანამშრომელი უმაღლეს საარჩევნო კომისიაში მიღებული იყო ორი თვის ხელშეკრულების ვადით. ისინი 2004 წლის 27 ივლისიდან №20 განკარგულებით განთავისუფლდნენ სამსახურიდან შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო

აზრი გამოთქვას: კომისიის წევრებმა: გ. დუაძემ, ქ. ჯიქიამ, გ. ბზიკაძემ

უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფალავამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დადგენილების წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -6  
წინააღმდეგი 0  
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი)

## 2. სხვადასხვა

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფალავამ კომისიის წევრებს ინფორმაციის სახით გააცნო უმაღლეს საარჩევნო კომისიაში მომუშავე ორი თანამშრომელის, კერძოდ იურიდიული სამსახურის სპეციალისტის კახა კახიძის უმაღლეს საბჭოში აპარატის უფროსის თანამდებობაზე დანიშვნისა და საერთო სამსახურის უფროსის, არჩილ მიქელაძის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში წარმომადგენლად წარდგინების საკითხი. კომისიის თავმჯდომარემ ასევე გააცნო უმაღლესი საბჭოს 28 ივლისის დადგენილებით დამტკიცებული უმაღლესი საარჩევნო კომისიის სამტატო ნუსხა და ხარჯთაღრიცხვა 2004 წლის 1 აგვისტოდან 2005 წლის 1 იანვრის ჩათვლით.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე

ი. ფალავა

კომისიის მდივანი

ქ. ჯიქია